უხუცესთა დახმარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1.უხუცეს დღეგრძელთა დახმარების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები ასი წლის და ას წელს გადაცილებული უხუცესი მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

2.პროგრამით მოსარგებლემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა)განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე;

ბ)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ)ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი არ არის პროგრამით მოსარგებლე);

დ)პროგრამით მოსარგებლის საბანკო ანგარიშის ნომერი დამტკიცებული ბანკის ბეჭდით (დედანი).

3.პროგრამით გათვალისწინებულია 5 განცხადების დაკმაყოფილება.

4.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმები

1.პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) ასი და ას წელს გადაცილებული 5 (ხუთი) უხუცესი მოქალაქის დახმარება, თითოეულის წელიწადში არაუმეტეს 300,00 (სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.

2.ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის შესაბამისად.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

უხუცეს დღეგრძელთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 1 500,00 (ერთი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	1 500,00 ლარი
I კვარტალი	600,00 ლარი
II კვარტალი	300,00 ლარი
III კვარტალი	300,00 ლარი
IV კვარტალი	300,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ასი წლის და ას წელს გადაცილებული უხუცესი რუსთაველების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი